ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 1

სხდომის ჩატარების დრო:

10 დეკემბერი, 2021 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე, ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ლ.სანიკიძე, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა.

სულ: 35 წევრიდან 18 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: დ.აბულაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე,

ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 35 წევრიდან 17 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ი.ხახალეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონები: ი.უგულავა და დ.ერემეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი პ.ადამაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი ვ.სილაგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი ბ.ყურაშვილი, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომაზე თავდაპირველად, საკრებულოს 35 წევრიდან გამოცხადდა მხოლოდ, პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წარდგენით არჩეული საკრებულოს 17 წევრი (საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ი.შენგელია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე, ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, მ.ნიჟარაძე, ლ.სანიკიძე, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე,

ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა). სხდომას არ ესწრებოდა ოპოზიციური პარტიებისაგან წარმოდგენილი საკრებულოს 17 წევრი და საკრებულოს წევრი, ბ.მახარაძე (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“), რომლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების საკითხი, გათვალისწინებული იყო მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტში. გამომდინარე იქედან, რომ არ იყო ქვორუმი, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას** წინადადებით, სხდომა გადაიდო 15 წუთით.

ბატონმა ირაკლი შენგელიამ განაცხადა: „საკრებულოს სხდომაზე არ გამოცხადდნენ საკრებულოს ოპოზიციური პარტიის წევრები. ეს არ არის ჯანსაღი დამოკიდებულება კონკრეტული ინსტიტუციის მიმართ. რაღაცას პატივი უნდა ვცეთ. ვინაიდან, ქვორუმი არ გვაქვს და ბატონები შენობაში ბრძანდებიან, დაველოდოთ მათ წარმომადგენლებს და შემდეგ დავიწყოთ სხდომა. 15 წუთის შემდეგ შევიკრიბოთ. 15 წუთი ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება იქნება.“

დათქმული 15 წუთის შემდეგაც ვერ შეიკრიბა საკრებულოს სხდომის ჩასატარებლად საკრებულოს წევრთა საჭირო რაოდენობა, სხდომა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას** წინადადებით, კვლავ გადაიდო 35 წუთით, ანუ, 14 სთ. და 50 წუთამდე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე პირველი სხდომის ოფიციალურად გახსნამდე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე შემოვიდა ბაქარ მახარაძის წერილობითი განცხადება იმის თაობაზე, რომ არ დაკმაყოფილებულიყო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე მისი 2021 წლის 6 დეკემბრის განცხადება; N59 ქალაქ ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ქალბატონ ლ.ლალიაშვილის N59/242 წერილობითი მომართვა საკრებულოს წევრის, ბაქარ მახარაძის წერილობით განცხადებასთან ერთად, რომელშიც იგი მოითხოვდა, რომ არ მისცემოდა მსვლელობა საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე, მისი 2021 წლის 6 დეკემბრის განცხადებას;

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბაქარ მახარაძის პირადი განცხადების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2021 წლის 7 დეკემბრის Nდ45.45213412 დასკვნის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“.

(ბაქარ მახარაძის 2021 წლის 10 დეკემბრის წერილობითი განცხადება იმის თაობაზე, რომ არ დაკმაყოფილებულიყო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე მისი 2021 წლის 6 დეკემბრის განცხადება; N59 ქალაქ ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ქალბატონ ლ.ლალიაშვილის 2021 წლის 10 დეკემბრის N59/242 წერილობითი მომართვა საკრებულოს წევრის, ბაქარ მახარაძის წერილობით განცხადებასთან ერთად, რომელშიც იგი მოითხოვდა, რომ არ მისცემოდა მსვლელობა საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე, მის 2021 წლის 6 დეკემბრის განცხადებას; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2021 წლის 10 დეკემბრის დასკვნა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბაქარ მახარაძის პირადი განცხადების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2021 წლის 7 დეკემბრის Nდ45.45213412 დასკვნის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ წინამდებარე ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე პირველი სხდომა გახსნა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ და გააკეთა განცხადება:** „დღევანდელი დღე და ის მოვლენა, რაც ახლა განვითარდა და რაც ვითარდება, სწორედ, რომ ნათელი გამოხატულებაა იმ დამოკიდებულებებისა, რომელიც სამწუხაროდ, ჩვენს ოპონენტებს ახასიათებთ და კონკრეტულად იმ ჯგუფს, რომელსაც თავის სახელი აქვს. პირველ რიგში, ეს ყველაფერი არ პასუხობს იმ მანდატს, რომელიც მათ მიენიჭათ ხალხის მიერ. ეს არ არის საუკეთესო ინტერესი იმ ამომრჩევლის, რომელსაც ისინი წარმოადგენენ. ეს არ არის ის ინტერესი, რომლითაც ჩვენ ხალხმა მოგვანიჭა მანდატი, ვემსახუროთ ქალაქს, ვემსახუროთ თითოეულ მოქალაქეს. მიუხედავად მათ მიერ, არაერთხელ გაჟღერებულმა პოზიციებმა კონსტრუქციულობისკენ და ჩვენი, პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული

საქართველოს“ მხრიდან ამ პოზიციებზე ნათელმა და მკაფიო დამოკიდებულებებმა, გვქონდეს მზაობა პოლიტიკურ სივრცეებში ჯანსაღი დისკუსიისა, ამ ყველაფერს უპასუხეს ასეთი ქმედებით. დღევანდელი დღე არის ნათელი გამოხატულება, როგორ არ უნდა იქცეოდეს წარმომადგენლობითი ორგანოს რგოლი. მაშინ, როდესაც ოპოზიციური პარტიების დეპუტატები იმყოფებიან შენობაში, მეტიც, იმყოფებიან ამ სხდომათა დარბაზის მისაღებში, არ ინებეს სხდომათა დარბაზში შემოსვლა. ეს არის მათი არჩევანი, მათი დესტრუქცია, მათი დამოკიდებულება თითოეული ადამიანის მიმართ, რომელმაც მათ მხარი დაუჭირა. დღეს, რიგგარეშე სხდომა ჩაინიშნა კონკრეტული ადამიანების გადაწყვეტილებით, მათ შორის, საკრებულოს ოპოზიციური საკრებულოს წევრების გადაწყვეტილებით. გარდა საკითხებისა, რომლებიც ეხება კონკრეტულ დეპუტატებს, უნდა ვიმსჯელოთ იმ საკითხებზეც, რომლებიც ეხება თითოეულ მოქალაქეს, საჯარო ინტერესებს, კონკრეტულ ბიზნესს სექტორს, რომ ჰქონდეს თავის შესაძლებლობა და მისი ინტერესები და ჩვენი მხრიდან იქნეს პასუხი გაცემული. მიუხედავად ამისა, მათ დღეს აირჩიეს აი, ეს პროცესი, რომელიც ნათლად ასახავს ამ ცარიელ სკამებს. ცარიელია ეს ყველაფერი და დაცლილია ყველაფრისაგან. აქედან გამომდინარე, ჩვენ როგორც პასუხისმგებლობით სავსე გუნდი, ვიღებთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას და ის პასუხისმგებლობა, რომელიც თითოეულ ჩვენგანს აქვს მოქალაქეებისგან მონიჭებული, მას აუცილებლად დავიცავთ. საჯარო ინტერესებიდან და სწორედ პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, საკრებულოს წევრმა, ბატონმა ბაქარ მახარაძემ მიიღო ის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც საკრებულოს რიგგარეშე პირველი სხდომის დღის წესრიგის პროექტშია ასახული. აქ გვესწრება მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. ძალიან კარგი იქნება ყველამ ერთად ვიფიქროთ, რა შეფასება მივცეთ ამ კონკრეტულ მოვლენას. ეს მოვლენა არ არის ქუთაისთან მიმართებაში. ეს მოხდა ყველგან. ამ მოვლენას აქვს ის დესტრუქციის სახე, რომელსაც წარმოადგენენ ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები. ჩვენი ინტერესი არის თითოეული მოქალაქის უფლებისა და პასუხიმგებლობის დაცვა. ჩვენ ამ პროცესს არ გავექცევით არასოდეს.“

საკრებულოს სხდომაზე გამოვიდა ბატონი **ბაქარ მახარაძე** („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“): „მოგესალმებით. რა თქმა უნდა, გამოვდივარ ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე. დღეს, საკრებულოს მიმდინარე სხდომაზე განხილული უნდა იქნეს საკითხები ინფრასტრუქტურულ პროგრამებთან დაკავშირებით. ყოველი ჩვენთაგანის ვალია, გაითვალისწინოს ქალაქისა და ჩვენი ამომრჩევლის ინტერესი. აქედან გამომდინარე, მივიღე გადაწყვეტილება და ამ სხდომის ოფიციალურად გახსნამდე, წერილობითი განცხადებით მივმართე საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი შენგელიას. აქვე გავაკეთბ ზეპირ განცხადებას და წარმოგიდგენთ მას წერილობითაც. გთხოვთ, ჩემი 2021 წლის 6 დეკემბრის პირადი განცხადება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე არ იქნეს დაკმაყოფილებული. ვრჩები საკრებულოს წევრად. მადლობა ყველას და ბოდიშს გიხდით შექმნილი ვითარებისათვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა განმარტა:** „კანონთან სრულ შესაბამისობაშია ბატონი ბაქარის განცხადება. ამ შემთხვევაში საკრებულოს, მისი უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით არ ჰქონდა პროცედურა დასრულებული, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული. კერძოდ, საკრებულოს არა აქვს მიღებული გადაწყვეტილება მისი საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ, შესაბამისად, მისი განაცხადი ლეგიტიმურია. ჩვენ არ გვაქვს უფლება უარი ვუთხრათ მას განცხადების დაკმაყოფილებაზე. მოგახსენებთ, რომ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ, საკრებულოს წევრის, ბაქარ მახარაძის 2021 წლის 10 დეკემბრის წერილობითი განცხადებიდან გამომდინარე, მიიღო გადაწყვეტილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბაქარ მახარაძისათვის პირადი განცხადების საფუძველზე საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ იურიდიულ საკითხთა კომისიის 2021 წლის 7 დეკემბრის №45.45213412 დასკვნის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“. აღნიშნულის თაობაზე დასკვნა წარმოდგენილია საკრებულოში ოფიციალურად (კომისიის დასკვნის თარიღი: 2021 წლის

10 დეკემბერი, ნომერი: დ45.45213441) გამომდინარე აქედან, ძალაშია ბაქარ მახარაძის პირვანდელი მდგომარეობა, ანუ, იგი საკრებულოს წევრია. საკრებულოს წევრის, ბაქარ მახარაძის დღევანდელი წერილობითი განცხადების გათვალისწინებით, საკრებულოს რიგგარეშე პირველ სხდომაზე აღარ უნდა იქნეს განხილული მისი საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 საკითხები. გამომდინარე აქედან, აღნიშნული საკითხები, მიმდინარე რიგგარეშე სხდომაზე აღარ უნდა იქნეს წარმოდგენილი ამ სხდომის დღის წესრიგის პროექტით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს წევრის, ბაქარ მახარაძის 2021 წლის 10 დეკემბრის წერილობითი განცხადების, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2021 წლის 10 დეკემბრის დასკვნისა და 2021 წლის 10 დეკემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით (**დღის წესრიგის პროექტიდან ამოღებულ იქნა მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 საკითხები: „პირადი განცხადების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბაქარ მახარაძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ“ (მე-2); „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“(მე-3); „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“(მე-4); „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“(მე-5). ბიუროს სხდომის რეკომენდაციით შეიცვალა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პანორამა ქუთაისისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ დღის წესრიგის პროექტის მე-8 საკითხის** წარმომდგენი პირი, კერძოდ, მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, ბატონი მ.ხიდაშელის ნაცვლად, საკითხის წარმომდგენად განისაზღვრა ამ სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი ვალერი სილაგაძე), წარმოადგინა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე პირველი სხდომის **დღის წესრიგის შემდეგი პროექტი**:

1. პირადი განცხადების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, დავით აბულაძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ბექა ყურაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული
ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და
დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელი

3. „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტე კონკურსზე წარსადგენი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურის განვითარების 2020-2022 წლების საპროექტო იდეების/წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივნისის N395 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ბექა ყურაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული
ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და
დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელი

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პანორამა ქუთაისისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი ვალერი სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე

საკრებულოს რიგგარეშე პირველი სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ, საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე პირველი სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: დ.აბულაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე,, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ბ.ბრეგაძე; ქალბატონები: ხ.არველაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე პირველი სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ი.შენგელიას** მიერ, წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„პირადი განცხადების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, დავით აბულაძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: დ.აბულაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე,, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ბ.ბრეგაძე; ქალბატონები: ხ.არველაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **თ.ჯუღელის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„პირადი განცხადების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, დავით აბულაძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ“ **განკარგულება N30**
ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული,**

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ბექა ყურაშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჩვენ გვქონდა მსჯელობა და ჩვენი მიზანია, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიმართულებით გაძლიერდეს პოლიტიკა და ფინანსური რესურსი. სწორედ ეს, მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც გახლავთ ჩვენი პასუხისმგებლობა, მოქალაქეებს, ამხანაგობებს დავუჭიროთ მხარი, გავაძლიეროთ და ხელი შევუწყოთ ინფრასტრუქტურა განავითარონ. ერთ - ერთი ნაწილი ეხება რეგიონალური ფონდიდან დაფინანსებას. ჩვენი პრიორიტეტი ამ შემთხვევაში იქნება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსება. მათ შორის, რეგიონალური განვითარების ფონდიდან მიღებული თანხებით. გარდა ამისა, ბიუჯეტში გაჩნდება 3 მილიონი ლარი, რომელიც უპასუხებს ამხანაგობების საჭიროებებს. აი, ეს არის განსხვავება. აქ ჩანს ჩვენი დამოკიდებულება ამხანაგობებისა და მოქალაქეების მიმართ და მათი დამოკიდებულება ცარიელი სკამების სახით. მე არ მეგონა, რომ ესენი გააგრძელებდნენ მე-6 მოწვევის საკრებულოს დღის წესრიგს და აქ შოუებსა და ცირკს მოაწყობდნენ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციაში მოწვეული სპეციალისტი, ქალბატონი **ნ.თვალთვაძე:** „ბატონო ირაკლი, უკაცრავად. ამ შემთხვევაში საკრებულოს მხოლოდ 14 წევრზეა საუბარი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ყველაზე ერთად. როდესაც ვამბობთ და პოლიტიკურ შეფასებებს ვაკეთებთ, რომ თქვენი წარმომადგენლები, რომლებიც აქ არ წარმოადგენენ მათი ამომრჩევლის ინტერესებს, თქვენი პოზიციები არის თანხვედრაში. ეს არაერთხელ გვითქვამს ჩვენ. მათ შორის, პოლიტიკურ წარმომადგენლებსა და პოლიტიკურ ლიდერებსაც. ეს ეჭვი არსებობდა და ეს ეჭვი დღეს საკმაოდ ნათლად გამოჩნდა. მათ შორის, არის პლუსი და მათ შორის არის უდრის ნიშანი ერთი და იგივე. თქვენს შორის ტოლობის ნიშანი არის ძალიან მარტივად დასასმელი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე:** „გიერთდებით ბატონო ირაკლი, იმ მოსაზრებაში რაც თქვით. ჩვენ ამას შეგუებულები ვართ. ძალიან მკაფიოდ მინდა ვუთხრა მოსახლეობას ერთი რამ. ამათ, არც მე-6 მოწვევის საკრებულოში და არც ახლა, არ აინტერესებდათ ქალაქის ხვალინდელი დღე და ქალაქზე მზრუნველობა. დღეს გადიოდა საკრებულოს ერთი წევრი ჩვენი რიგებიდან და ამით ისარგებლეს. გამოაცხადეს ბოიკოტი, რომ საკრებულოს სხდომა ჩაშლილიყო. წარმოიდგინეთ, სადაც ესენი არიან უმრავლესობაში, რა დღეში ჰყავთ ხალხი, როგორ ზრუნავენ ქალაქზე და როგორ ზრუნავენ მოსახლეობაზე. მათ საერთოდ ჩაიხედეს იმ დღის წესრიგში რასაც დღეს წარმოვადგენთ? რაში აინტერესებთ ამათ ქალაქი და მოსახლეობა? ამათ აინტერესებთ ბევრი მოქალაქე გვყავდეს უკმაყოფილო, ვერ განვახორციელოთ ვერც საბინაო, ვერც ინფრასტრუქტურული პროექტები. ეს არის მათი ინტერესი და არა იმ მოსახლეობის მხარდაჭერა, ვინც მანდატი მისცათ, რომ წარმოედგინათ მათი ხმა საკრებულოში. ესენი ქალაქის კეთილდღეობას უცხადებენ ბოიკოტს და არა ჩვენ. „გახარიას“ პარტია, რომელსაც აქვს პრეტენზია, მაინტერესებს, დღეს ამ პარტიის წარმომადგენლებმა, ვინც საკრებულოში შემოვიდნენ, რომელი საკითხი დაინახეს, რომელიც არ არის ქალაქის ინტერესებზე მორგებული. მაინტერესებს რას გამოუცხადეს ბოიკოტი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ზ.მამასახლისი:** „მე წინა სხდომაზე ვიყავი ამაყი, რომ საკრებულოს სხდომა ჩატარდა კონსტრუქციულად, ისე როგორც ეკადრებოდა ამ ქალაქს და მოსახლეობას. მე მადლობის გადახდა მინდოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისათვის, რომ პოლიტიკური აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ჩვენ მაინც შევძელით ამ ბარიერის გადალახვა. დღეს რა ხდება? ეს არის სიმუხთლე, ეს არის ჩასაფრება, ამათთან როგორ შეიძლება კონსტრუქციული მუშაობა? იმის ნაცვლად, რომ ვიზრუნოთ მოსახლეობის კეთილდღეობაზე, ესენი ჩასაფრებულები არიან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.ნადირაძე:** „მეც მინდა ჩემი მოსაზრება გამოვთქვა ამ ფაქტთან დაკავშირებით, მათ ისარგებლეს იმ მომენტით, რომ საკრებულოდან ერთი წევრი უნდა გასულიყო და ეს მომენტიც კი არ დაკარგეს. ჩვენ 4 წელი მოგვიხდება ასე ერთად მუშაობა. მე თქვენ გეუბნებით, ავადმყოფობის უფლება არ გაქვთ. ოჯახში რაიმე რომ შეგემთხვათ, ამის უფლება არ გაქვთ, იმიტომ, რომ იგივეს დაატრიალებენ და ბოიკოტს გამოაცხადებენ. ეს ბევრი რამის მთქმელია. ასე იქნება 4 წელი. ადამიანს იურიდიულად და ღმერთისგანაც აქვს უფლება მინიჭებული, რომ ავად გახდეს. მე ნამდვილად არ მეგონა, თუ ამ მომენტს გამოიყენებდნენ და ამ ნაბიჯს გადადგამდნენ. რომ არა ბატონი ბექა მახარაძის ნება, რისი უფლებაც მას ჰქონდა, რომ შეეცვალა საკუთარი გადაწყვეტილება, ამათ, საქმის გაფუჭების ხარჯზე უნდოდათ გულის მოფხანა. საბედნიეროდ, არ ჩაიშალა საკრებულოს სხდომა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გ.ბასილაძე:** „რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა მეც. ორივე გუნდს მინდა მივმართო. მესამე გუნდი განერიდა ამ ამბავს ნებსით თუ უნებლიეთ. თვითონ იყო იმ დღეში, რომ მისი უფლებამოსილების შეწყვეტა უნდა გვეღიარებინა. რაც შეეხება იმ ორ ჯგუფს, ჯერ მცირე ჯგუფით დავიწყებ, რომლის ერთ-ერთ წევრს ჰქონდა პრეტენზია თითქოსდა არჩევნები ჩატარებულა არადემოკრატიულად. მე მას შეკითხვა დავუსვი, რომ ჩვენი სიის მე-12 გამსვლელი ნომერი რომ არ ყოფილიყო და მე-3 ნომრად ყოფილიყო წარმოდგენილი, თუ იქნებოდა ეს არჩევნები დემოკრატიული? რაზეც გაცხარდა ძალიან

და ცხარე კომენტარიც კი მოჰყვა ჩემს ნათქვამს, რომ სამარცხვინო პარტიის თავმჯდომარე ვარ. მე არაფრის მრცხვენია. მოღალატე ყველგან მოღალატეა, სადაც არ უნდა იყოს, პარტიაში თუ სხვაგან. მოღალატეები თვითონ არიან, რადგან ვერ მოიპოვეს შეღავათები და უპირატესობები და გაიქცნენ სხვაგან რაღაცის მოლოდინში. დღეს კი ზის შენობაში და სატელეფონო ზარზე პასუხობს, რომ ვერ მოდის სხდომაზე, რადგან სიცხე აქვს. თუ ადამიანს ტემპერატურა აქვს, ეს ორმაგი დანაშაულია, ერთი, რომ მოღალატეა და მეორე - მავნებელი, სიცხიანი დადის და ინფექციას ავრცელებს. იმის ნამუსი მაინც იქონიეთ, რომ ინფექცია არ გაავრცელოთ. რაც შეეხება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ჯგუფს, მე მქონდა გადაძახილი პარტიის თავმჯდომარესთან და მქონდა იმედის მცირე ნაპერწკალი, რომ კონსტრუქციული თანამშრომლობის შანსი არსებობდა და მივიღე თანხმობა, რომ გვექნებოდა კონსტრუქციული თანამშრომლობა. ამის მომსწრე ყველანი გახდით საკრებულოს წინა სხდომაზე. აი, ეს არის მათი კონსტრუქციულობა. ეს არის მათი დარდი და წუხილი. ეს არის მათი წუხილი ქუთაისელებსა და ჩვენს მომავლზე. ასე ხდება თბილისშიც. სააკაშვილი გადაიყვანეს ჰოსპიტალში, დათმობაზე წავიდა ხელისუფლება, ახლა თურმე ჰაერი არ შედის გისოსებში, რაც მის რეაბილიტაციას უწყობს ხელს. ბატონმა წულაიამ პატარა ფინია მოიყვანა თვითმმართველობის შენობასთან, ძაფებით იმართებიან ამ ფინიასავითო და დღეს გამოჩნდა კარგად, ვინ იმართება ძაფებით. მინდა მოვუწოდო ქუთაისის მოსახლეობას და ორ სამაჟორიტარო ოლქს განსაკუთრებით: „ავტოქარხანასა“ და „ნიკეა-ძელქვიანს“. შეხედეთ, ვინ აირჩიეთ, რომელი პარტია და მაჟორიტარი. შეადარეთ მერაბ კვიცარიძე და არ დავასახელებ სახელსა და გვარს, კახა ბოჭორიშვილი და არც იმის სახელსა და გვარს არ დავასახელებ. რას გაგიკეთებდათ ისინი და რას გააკეთებენ ესენი? გამოსავალი არსებობს. დიდი მადლობა ბატონ ბაქარს, რომელმაც დათმო თავისი ინტერესები და გუნდისა და პარტიისათვის დილიდან აქ არის. მადლობას მოგახსენებთ საკრებულოს 18-ვე წევრს ერთიანობისათვის. მე, პარტიის თავმჯდომარე, გია ბასილაძე თქვენს გვერდით ვარ და სულ თქვენს გვერდით ვიქნები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დ.მხეიძე:** „მოგესალმებით. მინდა, მადლობა გადავუხადო, ქუთაისის მოსახლეობას, რომ მოგვცა იმის ფუფუნება, რომ საკრებულოში

წარმოდგენილნი ვართ უმრავლესობით. ჩვენ არც ერთ საკითხს არ ჩავაგდებთ. ყველა გამოწვევა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, საკითხები, რომელიც დღეს არის საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილი და კიდევ იქნება წარმოდგენილი, დადებითად გადაწყდება. ჩვენ გავატარებთ იმ პოლიტიკას, რასაც ატარებდა „ქართული ოცნება“ და ჩვენი გუნდი. ოპოზიციის ასეთი სცენარები ჩემთვის უცხო ნამდვილად არ არის. ალბათ, ვერ გაიგეს მათ სად არიან და რა საქმე აქვთ, მე მინდა მათ მოვუწოდო (ალბათ გვიყურებენ), ჩვენ აქ შევიკრიბეთ ჩვენი ქალაქისათვის, იმ სოციალურად დაუცველებისათვის, ვისაც დახმარება სჭირდება. აქ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ ერთმანეთს არ ვეჩხუბოთ, არამედ, ჩვენი ქალაქისა და მოსახლეობის მხარდასაჭერად ვიღვაწოთ. მე მოვუწოდებ, საკრებულოს ოპოზიციის წევრებს, რომ გონს მოეგონ. საკრებულოს ოპოზიციის წევრებისათვის, რომლებიც წინა მოწვევის საკრებულოშიც მოღვაწეობდნენ, ეს საკითხები უცხო არ არის და ის სიტყვა, რაც მოგვცეს, შეასრულონ. ბატონო ბაქარ, ძალიან დიდ მადლობას გიხდით, რომ ჩვენს გვერდით ხართ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.ქებულაძე:** „მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მოქალაქეები მისცემენ შეფასებას ჩვენი ოპოზიციონერი დეპუტატების ქმედებას. მე მინდა, მოსახლეობას მივმართო სიტყვით, ეს ნიშნავს ჩვენი გუნდის ერთიანობის კიდევ ერთხელ დადასტურებას. მე მინდა, ბატონ ბაქარ მახარაძეს მადლობა გადავუხადო ჩვენი გუნდის სახელით. საქართველოში უზენაესი კანონი ეს არის საქართველოს კონსტიტუცია, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ ხელისუფლების წყარო არის ხალხი. შესაბამისად, ჩვენ უნდა ვემსახუროთ ხალხის ინტერესებს ერთობით, დემოკრატიული პროცესებით. დიდი მადლობა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. საკრებულოს 34 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე,

თ.მესხი, ბ.ბრეგაძე; ქალბატონები: ხ.არველაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის, **ბ.ყურაშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N31** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტე კონკურსზე წარსადგენი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურის განვითარების 2020-2022 წლების საპროექტო იდეების/წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივნისის N395 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ბ.ყურაშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. საკრებულოს 34 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ბ.ბრეგაძე; ქალბატონები: ხ.არველაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის, **ბ.ყურაშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტე კონკურსზე წარსადგენი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქ - ტურის განვითარების 2020-2022 წლების საპროექტო იდეების/წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივნისის N395 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N32** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პანორამა ქუთაისისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2021 წლის 10 დეკემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით

(განკარგულების პროექტის სათაურიდან ამოღებულ იქნა ქონების მისამართი: „ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი, რუსთაველის ხიდის მიმდებარე ტროტუარის ნაწილის"; განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩამატებულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი შემდეგი რედაქციით: „2021 წლის 9 დეკემბრის N44-4421343133 წერილობითი მომართვის შესაბამისად"), წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვ.სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილ პროექტის შსახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. საკრებულოს 34 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ბ.ბრეგაძე; ქალბატონები: ხ.არველაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, **ვ.სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 10 დეკემბრის **N33 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პანორამა ქუთაისისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N33** ოქმს თან ერთვის)

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე პირველი სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვა დასრულდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის დასრულების შესახებ. საკრებულოს 34 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ბ.ბრეგაძე; ქალბატონები: ხ.არველაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად (18 წევრი), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე პირველი სხდომის მუშაობა დამთავრდეს ამ სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დასრულების გამო.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე პირველი სხდომის მუშაობა დასრულებულად გამოაცხადა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2023.06.22 11:36:16 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის-სამდივნო განყოფილების
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ